ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონება

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	საწყისი საპრივატიზებო ფასი	აუქციონის პირობა
1	ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38 ყოფილი პოლიციის შენობა)	ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38	39.01.27.032	2 715	2692.82 მ²	300 000	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, მყიდველმა უნდა განახორციელოს 1 000 000 ლარის ინვესტიცია, იერსახის მოწესრიგება და ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა.
2	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 (ძველი საავადმყოფო)	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57	39.01.30.018	13 310	5574 მ² და 168 მ²	350 000	მიწის ნაკვეთის გაწმენდა არსებული ნანგრევებისაგან და ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში
3	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი გელათი	39.07.31.361	156		10 000	უპირობო
4	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი კურსები	39.07.29.130	4793		80 000	„ტერიტორიის მოწესრიგება და 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში“.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74. 742432011**

თარიღი:**15/11/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართის შესაბამისად.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი